ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-16

2011 წლის 17 მარტი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 52-ე მუხლისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, საკრებულოს ბიუროს, საკრებულოს კომისიების სხდომების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის სამსახურებრივი დავალებების შესასრულებლად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს მიეცეთ სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ყოველთვიური ანაზღაურება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ხოლო საკრებულოს ბიუროს წევრებისათვის 230 (ორასოცდაათი) ლარი. „ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი” თანახმად №-1 და №-2 დანართების შესაბამისად.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების საკომუნიკაციო საშუალებებით სარგებლობის ყოველთვიური ლიმიტები განისაზღვრება საკრებულოს ცალკე განკარგულებით. საკრებულოს სამსახურებრივი ავტომანქანის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საწვავის ყოველთვიური ლიმიტის ოდენობა განისაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე. ბაგრატიონი);

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 26 იანვრის №8 განკარგულება.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30)

6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 17 მარტის №-16 განკარგულების
დანართი №-1

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებსთან ხარჯების ანაზღაურების წესი

მუხლი 1.

ეს წესი „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად, განსაზღვრავს საკრებულოს წევრის მიერ ამომრჩევლებთან შესახვედრად, საკრებულოს ან საკრებულოს თავმჯდომარის დავალებათა შესასრულებლად და საკრებულოს წევრის სხვა უფლებამოსილების განხორციელებისათვის გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესსა და პირობებს.

მუხლი 2.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთათვის საქმიანობის განხორციელებსთან ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა, ყოველთვიურად შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, ხოლო საკრებულოს ბიუროს წევრებისათვის 230 (ორასოცდაათი) ლარს.

მუხლი 3.

საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს თანახმად №-2 დანართისა.

მუხლი 4.

საკრებულოს თავმჯდომარე წარდგენილ უფლებამოსილების გაწეული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას (№-2 დანართისა) ცვლილებებით ან უცვლელად ამტკიცებს და გადასცემს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურს, რომელიც შემდგომ ახდენს ნუსხის მიხედვით ანაზღაურებას.

მუხლი 5.

ამ წესში ცვლილებები ან და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2011 წლის 17 მარტის №-16 განკარგულების
დანართი №-2

საკრებულოს წევრის საქმიანობის განხორციელებსთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების ნუსხა

ვამტკიცებ:

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (სახელი, გვარი, ხელმოწერა)
ნ. ბერაძე

განხორციელებული ხარჯების ანაზღაურების ნუსხას
(20—წელი----------თვე)

№	საკრებულოს წევრის სახელი, გვარი	მისაღები თანხის რაოდენობა	ხელმოწერა

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე (სახელი, გვარი, ხელმოწერა)